ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №38

23.01.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. ბარბარა ჯიმელი-სულაშვილი - კომისიის წევრი;
7. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03240183-03; 18.01.2024);**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240183-03; 18.01.2024):

3. აბულაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესს, მასზე დაწესებული საფასურის განაკვეთებსა და გადახდის წესსა და პირობებს. მან ასევე აღნიშნა, რომ საფასური არის სააგენტოს მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისთვის ამ წესით დადგენილი სავალდებულო გადასახდელები.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, წესის მოქმედება არ ვრცელდება მომსახურების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით (მათზე საფასურის დაკისრების გარეშე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ მომსახურების გაწევისას, როდესაც ისინი თავად ახორციელებენ სამუშაოებს. რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით უკვე დადგენილია ამ სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის წესი და შესაბამისად ამ ცვლილებით დგინდება მასზე გამონაკლისი, რათა ორჯერ არ განხორციელდეს ერთსა და იმავე საქმიანობაზე დაჩქარებული წესით საფასურის გადახდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240183-03; 18.01.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე